საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 819-03
28/04/2026

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის 1-ელი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 28 აპრილის N5 სხდომის გადაწყვეტილების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2026 წლის 27 აპრილის N6457-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი